**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

25 ივნისი, 2024 წელი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/96

## ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ბესიკ კვაჭანტირაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს 2017 წლის 29 ივნისის №49 დადგენილების, „2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 თებერვლის №01-08/59 ბრძანების, „2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებ-ულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 თებერვლის №01-08/59 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 აპრილის №01-08/389 ბრძანების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/79 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/03, 21.06.2024) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 24 0000732785, 24.06.2024) საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ბესიკ კვაჭანტირაძის** სადისერტაციო ნაშრომის **„სახელმწიფოს მმართველობითი და მარეგულირებელი ფუნქციები ეფექტიანი ბიზნესგარემოს ფორმირებაში - ევროპული გამოცდილება“**

საჯარო დაცვა დაინიშნოს **2024 წლის 09 ივლისს 12 საათზე, 423-ე აუდიტორიაში** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).

2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი „ბიზნესის ადმინისტრირების" **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. ასიე ცინცაძე - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
   2.2. ლეილა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი (მდივანი);
   2.3. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
   2.4. ვაჟა ვერულიძე - ბსუ-ს პროფესორი;
   2.5. ბადრი გეჩბაია – ბსუ-ს პროფესორი;
   2.6. ირინა ვაშაყმაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.7. ია მესხიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.8. პაატა აროშიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.9. დავით ქათამაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.10. ირმა ჩხაიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.11. ნანული მახარაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასოცირებული პროფესორი ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში